

კონკრეტული შეტყობინება შესყიდვის შესახებ  
მოწვევა პრეკვალიფიკაციაზე

საქართველო

ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი

UWSCG-IPC-DBO-Lot 3: ბაშურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობა და  
ოპერირება

26 თებერვალი, 2021

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც დამკვეთი) საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირისაგან მიიღო ფულადი სახსრები, რათა დააფინანსოს ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი და გეგმავს, რომ აღნიშნული ფულადი სახსრების ნაწილი გამოიყენოს UWSCG-IPC-DBO-Lot 3 კონტრაქტის ფარგლებში ბაშურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირების, მშენებლობისა და ოპერირების სამუშაოების დაფინანსებისათვის<sup>1</sup>. დამკვეთს სურს, რომ საწყის ეტაპზე შეარჩიოს მაქსიმუმ ხუთი (5) ფირმა შემდეგი საპროექტო, სამშენებლო და ოპერირების სამუშაოებისათვის:

**ზოგადი:**

გეგმების, გრაფიკებისა და ანგარიშების მომზადება, კერძოდ (და არა მხოლოდ): დემონტაჟის გრაფიკი/გეგმა, გარემოს წინასწარი კვლევის (IEE) და ჯეროვანი გადახედვის ანგარიშის განახლება, ობიექტზე ნარჩენების მართვის გეგმა, ობიექტზე მტვერის მართვის გეგმა, ობიექტზე ზედაპირული წყლის მართვის გეგმა (თუ საჭიროა), ობიექტზე ექსკავირებული მასალების მართვის გეგმა, ობიექტზე ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა და თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.

**წყალარინების ახალი გამწმენდი ნაგებობა**

I. არსებული ძველი ნაგებობების დემონტაჟი

- (a) არსებული ავზების, რეზერვუარებისა და შენობების დემონტაჟი;
- (b) დემონტირებული მასალების სამშენებლო მოედნიდან გატანა;

II. ახალი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და მშენებლობა

- (a) წარმადობა:  $Q_{dave} =$  დაახლოებით 10,000 მ<sup>3</sup>/დღე,  $Q_{dmax} =$  დაახლოებით 1,300 მ<sup>3</sup>/სთ,  $Q_{dmin} =$  დაახლოებით 400 მ<sup>3</sup>/სთ, P.E. = 30,000-დან 40,000-მდე.
- (b) ადგილობრივი SCADA ცენტრალურ SCADA-თან დაერთების შესაძლებლობით.

III. ბაიპასის პროექტირება და მშენებლობა

DN800 მმ (მთავარი კოლექტორის დაგრძელება), სიგრძე დაახლოებით L=2450 მ – არსებული ჩატეხილი ნაწილიდან მდინარე სურამელამდე.

<sup>1</sup> ამ კონტრაქტს ერთად აფინანსებს AFD და ევროკავშირი.

#### IV. ოპერირება და ექსპლუატაცია

ზემოხსენებული ობიექტების ოპერირება და ექსპლუატაცია 24 თვის განმავლობაში (+ / - 12 თვე).

#### დამკვეთის პერსონალის ტრენინგი

დამკვეთის პერსონალის ტრენინგი ზემოხსენებული ობიექტების ოპერირებისა და ექსპლუატაციის თემატიკაზე.

#### ოპერირების აღწერა (ხანგრძლივობა და გასაწევი მომსახურებები)

ოპერირებისა და ექსპლუატაციის პერიოდის ხანგრძლივობა განხილვის საგანი. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება სატენდერო დოკუმენტების გაცხადების დროს და აისახება აღნიშნულ დოკუმენტებში. ოპერირებისა და ექსპლუატაციის საორიენტაციო ხანგრძლივობა იქნება 24 თვე (+ / - 12 თვე).

#### განხორციელების პერიოდი

კონტრაქტის განხორციელების საერთო პერიოდი იქნება 60 თვე (+ / - 12 თვე), სადაც გათვალისწინებულია შემდეგი ფაზები:

- (i) პროექტირება, პროექტის დამტკიცება & სამშენებლო ნებართვების მიღების ფაზა - ხანგრძლივობა 12 თვე;
- (ii) მშენებლობისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების ფაზა - ხანგრძლივობა 24 თვე;
- (iii) ოპერირებისა და ექსპლუატაციის ფაზა - ხანგრძლივობა 24 თვე (+ / - 12 თვე).

სატენდერო წინადადების მიღებაზე შეტყობინება გამოქვეყნებული იქნება საორიენტაციოდ **2021 წლის მარტში**<sup>2</sup>.

დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან“ (მისამართი მოცემულია ქვემოთ) სამუშაო საათების დროს **10-დან 17 საათამდე (ადგილობრივი დრო)**. დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ პრეკვალიფიკაციის დოკუმენტების **ინგლისურ ენაზე** შეძენა ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარმოდგენით და არაანაზღაურებადი თანხის<sup>3</sup> **330 ლარის ან 100 აშშ დოლარის ექვივალენტის** გადახდით. გადახდის მეთოდი: **ნაღდი ანგარიშსწორება ან ელექტრონული ტრანზაქცია დამკვეთის შემდეგ საბანკო ანგარიშებზე**<sup>4</sup>.

**აშშ დოლარის ანგარიში: ანგარიშის ნომერი GE40LB0113123325230096 ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: LBRTGE22), ან**

**ქართული ლარის ანგარიში: ანგარიშის ნომერი GE67LB0113123325230095 ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: LBRTGE22)**

<sup>2</sup> დაურთეთ ეს წინადადება, თუ საჭიროა.

<sup>3</sup> თანხაში უნდა შედოხს დაბეჭდვის და ფაქტობრივ გზავნის/მიწოდების ხარჯები და უნდა იყოს ნომინალური.

<sup>4</sup> მაგალითად ქვითარი, პირდაპირი გადროცხვა და კონკრეტულნგაროშუ, ა.შ.

**დოკუმენტები გაიგზავნება აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.**

შესარჩევი აპლიკაციების კონვერტები ნათლად უნდა იყოს აღნიშნული და მიწოდებული ქვემოთ მოცემულ მისამართზე **2021 წლის 23 აპრილის 15:00 საათისათვის (ადგილობრივი დრო)**.<sup>5</sup> დაგვიანებული აპლიკაციები შეიძლება უარყოფილი იყოს.

ოფისი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

საკონტაქტო პირი: *ირინე ჩიხლაძე, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; ნინო აბულაძე, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.*

მისამართი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისი, მე-4 სართული (კანცელარია), ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, თბილისი, საქართველოს (0186)

ტელეფონი: +995 032 2 91 90 60

ელექტრონული ფოსტა: [N.Abuladze@water.gov.ge](mailto:N.Abuladze@water.gov.ge); [ana.onashvili@water.gov.ge](mailto:ana.onashvili@water.gov.ge);

ვებგვერდის მისამართი: <http://water.gov.ge/>

---

<sup>5</sup> საწყისი შესარჩევი დოკუმენტების მომზადებისათვის გამოყოფილ დროს კმარის უნდა იყოს აპლიკანტებისათვის, რთა შეაგროვონ საჭირო ინფორმაცია, დახლებით კვირის განმავლობაში დოკუმენტების მიღებიდან ან გამოქვეყნების თარიღიდან (ამათგან რომელიც ყველაზე გვიანი იქნება).